

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი  
სხდომის

განჩინება №1/1/1878

2026 წლის 12 თებერვალი

ქ. ბათუმი

**კოლეგიის შემადგენლობა:**

ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი.

**სხდომის მდივანი:** სოფია კობახიძე.

**საქმის დასახელება:** დავითი ლალიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

I

**აღწერილობითი ნაწილი**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 17 ივლისს, კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1878) მომართა დავით ლალიაშვილმა. №1878 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადმოეცა 2025 წლის 18 ივლისს. №1878 კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2026 წლის 12 თებერვალს.

2. №1878 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე და 31<sup>1</sup> მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან ერთად სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო ან სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას. თავის მხრივ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით სამართალდარღვევად



მიჩნეულია სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვა, თუ მძღოლის სისხლში ეთანოლის შემცველობა 0,3 პრომილეზე მეტია და 0,7 პრომილეს არ აღემატება, ხოლო მე-2 ნაწილით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისთვის, თუ მძღოლის სისხლში ეთანოლის შემცველობა 0,7 პრომილეზე მეტია, ან მძღოლის მიერ სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადება ადგენს, რომ არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

5. კონსტიტუციურ სარჩელზე თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელემ დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები, მართავდა რა ავტომობილს ნასვამ მდგომარეობაში, გზის ჯებირთან შეხების შედეგად ამობრუნდა მისი სატრანსპორტო საშუალება, მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება და დაზიანდა მისი ავტომობილიც. ავტოსაგზაო შემთხვევას სხვისი ქონებისთვის, ან სხვა ადამიანისთვის ჯანმრთელობის რაიმე სახის ზიანი არ მოჰყოლია. მოსარჩელე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. კონსტიტუციური სარჩელის ავტორს, მისთვის შეფარდებული ჯარიმისა და საურავის კანონით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის 1<sup>1</sup> მუხლისა და ამავე კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, დამატებით ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება 3 წლის ვადით. მოსარჩელემ დაჯარიმებისა და მისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერების თაობაზე გამოცემული №ფე232277 და №სდ140741 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის 2025 წლის 21 თებერვლის MIA 3 25 00518160 დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელის საჩივარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ ზემოხსენებული დადგენილება მოსარჩელემ ასევე გაასაჩივრა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში.

6. მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმის საფუძველზე, მძღოლის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება უკავშირდება ისეთ ვითარებასაც, როდესაც (გაუფრთხილებლობით) ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, ზიანი ადგება მხოლოდ მის ჯანმრთელობასა და კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას. ასეთი „დასჯა“ გაუფრთხილებლობით თვითდაზიანებისათვის, მოსარჩელის აზრით, არაგონივრულია და დადგენილი სახდელის არაპროპორციულობის დონეც მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს. კერძოდ, სადავო ნორმის მოქმედების პირობებში, მძღოლი ჯარიმდება 2 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებით, რასაც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მძღოლისა და მისი ოჯახის წევრებისათვის საბედისწერო შედეგები შეიძლება ჰქონდეს. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მისი პროფესიული საქმიანობა და შემოსავლის ერთადერთი წყარო არის მძღოლის პროფესია. აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევს, რომ სადავო დანაწესი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს.

7. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის განმარტებით, გარკვეული ქმედების ამკრძალავი და მისი ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები კანონის საფუძველზე უნდა იყოს დადგენილი და აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს. სადავო ნორმაში არ ჩანს საკმარისი სიცხადით კანონმდებლის გამოკვეთილი ნება, რომ ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა მძღოლმა, რომელმაც დაარღვია მოძრაობის უსაფრთხოების წესები, წინდახედულობის ნორმის დარღვევით ობიექტურად დააზიანა მხოლოდ საკუთარი თავი, კერძოდ, მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება/დააზიანა მისი კუთვნილი ავტომანქანა, უნდა აგოს თუ არა კვალიფიციური შემადგენლობის (მხედველობაშია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილი) ფარგლებში პასუხი.



8. მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის ფორმულირებისას კანონმდებელი ტერმინს – „სხვა“ – უთითებს მხოლოდ „სხვა ნაგებობის“ და „სხვა ქონების“ დაზიანებისას, ხოლო „სატრანსპორტო საშუალების ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების“ წინ შესაბამისი მითითება არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ნორმა არ აკონკრეტებს რამდენად ვრცელდება გამკაცრებული პასუხისმგებლობა საკუთარი ჯანმრთელობის ან საკუთარი სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაზეც. ამავდროულად, საერთო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის თანახმად, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი მძღოლისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გაზრდა მხოლოდ საკუთარი ავტომანქანის ან/და საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების გამო აფუძნებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების კვალიფიციურ შემადგენლობას, რითაც იზრდება ნორმის ადრესატის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფარგლები. ვინაიდან, სადავო რეგულაციის ტექსტი არ შეიცავს იმპერატიულ მითითებას, რომ მისი მოქმედების დიაპაზონი ვრცელდება თვითდაზიანების შემთხვევაზეც, სამართალშემფარდებლის დადგენილი პრაქტიკა იწვევს სამართალდარღვევის შემადგენლობის გაფართოებას კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ ფარგლებს მიღმა, რაც არ არის შეთავსებადი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადების მოთხოვნებთან.

9. კონსტიტუციური სარჩელის ავტორი, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე.

## II

### სამოტივაციო ნაწილი

1. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. ამავე დროს, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი მიიჩნევა დაუსაბუთებლად და, შესაბამისად, არ მიიღება არსებითად განსახილველად.

2. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე მოითხოვს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციის აღნიშნულ დებულებებთან მიმართებით არსებითად განსახილველად მისაღებობის საკითხს ცალ-ცალკე შეაფასებს.

**1. სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არსებითად განსახილველად მისაღებობა**

3. მოსარჩელე მხარე, სადავოდ ხდის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სადავო დანაწესის თანახმად, აღნიშნული მუხლის (მხედველობაშია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი) პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან ერთად სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო ან სხვა



ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას.

4. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის არგუმენტაციით, გასაჩივრებული რეგულაციის საფუძველზე, მძღოლის მიმართ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრება უკავშირდება, მათ შორის, ისეთ ვითარებას, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, გაუფრთხილებლობით, ზიანი ადგება მხოლოდ მის (სამართალდამრღვევი მძღოლის) ჯანმრთელობას და კუთვნილ ავტოსატრანსპორტო საშუალებას. სადავო კანონის მითითებული ნორმატიული შინაარსით მოქმედების პირობებში, მძღოლი ჯარიმდება 2 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებით, რაც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ადმინისტრაციული საჩქცის აშკარა არაპროპორციულობას განაპირობებს.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მიდგომების შესაბამისად, კანონმდებელს სასჯელის პოლიტიკის სფეროში მიხედულების საკმაოდ ფართო არეალი გააჩნია. ამ თვალსაზრისით, საკანონმდებლო ორგანო ახდენს ადამიანის, საზოგადოებისა და, ზოგადად, სახელმწიფოსთვის საფრთხის შემქმნელი რისკების შეფასებას და პროგნოზირებას, აგრეთვე განსაზღვრავს ამავე რისკების დამზღვევი პასუხისმგებლობის კონკრეტულ სახეებსა და ზომებს ნორმატიულად, ცხადია, შესაბამის შემთხვევაში, დასაცავი ლეგიტიმური მიზნების გათვალისწინებით. საზოგადოდ, სასჯელთა პოლიტიკის შემუშავება, ჩვეულებრივ, საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონმდებელი უფლებამოსილია, ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობის, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში არსებული გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სასჯელის პოლიტიკა და დააწესოს ამა თუ იმ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შესატყვისი სასჯელის ზომები“ [...] (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/6/770 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12). საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი მოქმედებაში შეიძლება მოვიდეს და, მამასადაძმე, სასჯელთა პოლიტიკის სფეროში კონსტიტუციური კონტროლის ინტერვენციის საჭიროება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის ზომა არის აშკარად არაპროპორციული ამავე ქმედებით გამოწვეულ/გამოწვევად საფრთხეებთან მიმართებაში. ამდენად, „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა ... [საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით], სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე „უბრალოდ გადამეტებული““ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

6. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასჯელის პოლიტიკის დაგეგმვისა და შემუშავების სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებას ექვემდებარება საკანონმდებლო თავისუფლების გარე ზღვრის დაცვა და არა იმ საკითხების განხილვა, იპოვა თუ არა კანონმდებელმა, კონკრეტულ შემთხვევაში, ყველაზე მიზანშეწონილი, გონივრული და ოპტიმალური გამოსავალი (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 აპრილის №3/1/1239,1642,1674 გადაწყვეტილება საქმეზე „ბოლნისის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას, ნარკოტიკული საშუალება – გამომშრალი მარიხუანის (6,4 გრამის, 6,7 გრამის და 9,68 გრამის ოდენობით), პირადი მოხმარების მიზნით, საქართველოში უკანონოდ შემოტანის გამო“, II-3).

7. იგივე მიდგომები გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაწესებულ სახდელებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციის თანახმად, „იმისათვის, რომ ადმინისტრაციული სახდელის დამდგენი ნორმა არსებითად განსახილველად იქნეს მიღებული, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ სახდელის კონკრეტული ზომა არის იმდენად მკაცრი, რომ ის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. საკონსტიტუციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს“ (mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს



2010 წლის 10 ნოემბრის №4/482,483,487,502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8).

8. სანქციის პროპორციულობის შეფასებისას (იქნება ის სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი) მხედველობაში მიიღება აკრძალული ქმედების სიმძიმე და მის საპასუხოდ დადგენილი სასჯელის (სახდელის) ურთიერთმიმართება. კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში მოსარჩელე მხარე აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრება, ისევე როგორც 3 წლით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება მძღოლის პროფესიული საქმიანობის განმახორციელებელი პირებისთვის, ზედმეტად მკაცრი ზომაა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ დაწესებული სახდელი მძიმე ფინანსური ტვირთია პირთა გარკვეული წრისთვის, არ არის საკმარისი სანქციის არაპროპორციულობის სამტკიცებლად. ამისათვის აუცილებელია, დასაბუთებული იყოს კონკრეტული სამართალდარღვევის სიმძიმის, მისგან გამოწვეული საზოგადოებრივი საშიშროებისა და სადავო ნორმით გათვალისწინებული სახდელის აშკარა არაპროპორციულობა. იმისათვის, რათა დაწესებულმა სანქციამ მისი ფუნქცია შეასრულოს, მას პირზე ზემოქმედების რესურსი უნდა გააჩნდეს, რაც პირის ქცევის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვას განაპირობებს. ამ კონტექსტში, იმისათვის, რათა ადმინისტრაციულმა სახდელმა პრევენციული ფუნქცია შეასრულოს, იგი გარკვეულ, მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით, შესაბამისი ხარისხის ზემოქმედებას უნდა ახდენდეს სამართალდამრღვევზე. ამდენად, კანონმდებელი უფლებამოსილია, დასაცავი სიკეთის გათვალისწინებით, საზოგადოებისათვის ზიანის აცილების რესურსის მქონე საშუალებებს შორის, სამართალდარღვევებთან პრიორიტეტული ბრძოლის ფარგლებში, განსაზღვროს ეფექტიანი სანქციები.

9. განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული რეგულაცია ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზანს, როგორცაა საგზაო უსაფრთხოების დაცვა. შესაბამისად, სადავო ნორმით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაწესებული სანქცია – ადმინისტრაციული ჯარიმა და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება 3 წლის ვადით წარმოადგენს სამართლებრივ რეაგირებას ქცევაზე, რომელიც თავისი ბუნებით ქმნის (პოტენციურ) საფრთხეს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ისევე როგორც სხვა ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი სიკეთეებისთვის. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის არგუმენტს, რომ სადავო დანაწესის საფუძველზე, გაუფრთხილებლობით თვითდაზიანების (როგორც ჯანმრთელობის, ისე სატრანსპორტო საშუალების) შემთხვევებისთვის დაწესებული სანქცია აშკარად არაპროპორციულია, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გაიზიარებს. ის, რომ სამართალდარღვევად მიჩნეულ ქმედებას შედეგობრივად მოჰყვა მხოლოდ სამართალდამრღვევის (ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის) ფიზიკური დაზიანება და მისი ქონების განადგურება, არც ჩადენილი სამართალდარღვევის საშიშროების ხარისხს ამცირებს და, თავისთავად, არც სადავო რეგულაციით გათვალისწინებული სიკეთეებისთვის (პოტენციური) საფრთხის შექმნას გამორიცხავს, რის აღკვეთასაც ისახავს მიზნად სადავო ნორმა. ამა თუ იმ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებითა და შესაბამისი სანქციის დაწესებით, სახელმწიფო ასრულებს თავის პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას ის სიკეთეები, რასაც შესაბამისი ქმედება უქმნის საფრთხეს. სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვის საკანონმდებლო აკრძალვა ემსახურება, მათ შორის, შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ზიანის მიყენების პრევენციას, ისევე როგორც სხვა ადამიანების სიკეთეების დაცვას, ვისაც შეიძლება ამ მძღოლის წინდაუხედავმა ქმედებამ მიაყენოს ზიანი. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, სადაც ეს შესაძლებელია, პრევენციულად დაიცვას ადამიანი, მათ შორის, იმ საფრთხისაგან, რომელიც მისგანვე მომდინარეობს.

10. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო რეგულირება უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი სიკეთეების დაცვას, ხოლო 2 000 ლარის ოდენობით ადმინისტრაციული ჯარიმის განსაზღვრა და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლის ვადით შეჩერება, თავისთავად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სახდელის იმდენად მკაცრ ზომას, რომელიც სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებთან მიმართებით აშკარად არაპროპორციულად იქნეს მიჩნეული.



11. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, №1878 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არსებობს მისი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

## 2. სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით არსებითად განსახილველად მისაღება

12. მოსარჩელე ასევე სადავოდ ხდის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. როგორც აღინიშნა, გასაჩივრებული რეგულაცია ადგენს, რომ აღნიშნული მუხლის (მხედველობაშია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლი) პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან ერთად სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო ან სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, გამოიწვევს მძღოლის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერებას. მოსარჩელე მხარის განმარტებით, სადავო ნორმა სიცხადეს მოკლებულია და იგი საკმარისად არ ავიწროებს მისი ინტერპრეტაციის ფარგლებს. კერძოდ, გასაჩივრებული რეგულაციის არსებული ფორმულირება ტერმინს – „სხვა“ – უთითებს მხოლოდ „სხვა ნაგებობის“ და „სხვა ქონების“ დაზიანებისას, ხოლო „სატრანსპორტო საშუალების ან ადამიანის ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების“ წინ შესაბამისი მითითება არ არის გათვალისწინებული, რის გამოც ნორმა არ აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა გამკაცრებული პასუხისმგებლობა საკუთარი ჯანმრთელობის ან საკუთარი სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაზეც აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოხსენებულ შემთხვევებში, ბუნდოვანია, უნდა აგოს თუ არა სამართალდამრღვევმა სამართალდარღვევის კვალიფიციური შემადგენლობის ფარგლებში პასუხი.

13. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი „... ადგენს პირის პასუხისგებაში მიცემის საფუძველებს, განამტკიცებს გარანტიას, რომ ნებისმიერი დანაშაული და სასჯელი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში. იგი ემყარება საყოველთაოდ ცნობილ პრინციპებს – „არ არსებობს დანაშაული კანონის გარეშე“ და „არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე“. ... კანონიერების პრინციპი პირს იცავს სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი იძულების თვითნებური გამოყენებისა და გავრცელებისაგან, ამავდროულად, უზრუნველყოფს შესაძლებლობით, რომ წინასწარ განჭვრიტოს საკუთარ ქმედებაში სისხლისსამართლებრივი წესით აკრძალული ნიშნების არსებობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-38). „აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი ითვალისწინებს ორ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, კერძოდ, ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით და აღნიშნული კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი უნდა იყოს იმ ხარისხით, რომ რეგულირების ადრესატს შეეძლოს, გაითვალისწინოს თავისი ქმედების სამართლებრივი შედეგები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/6/1292 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18).

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი არ მიემართება მხოლოდ იმგვარ ქმედებებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კონსტიტუციის აღნიშნული დებულება კრძალავს „პასუხისმგებლობის დაკისრებას“ ქმედებისათვის, რომელიც „მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“. ამგვარად, იგი სახელდებით არ საუბრობს მხოლოდ „დანაშაულზე“ და მხოლოდ „სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე“. აკრძალვა შეეხება ნებისმიერ სამართალდარღვევას, რომელიც იწვევს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „სამართალდარღვევა“ მოიცავს ნებისმიერ ქმედებას,



რომელიც მართლსაწინააღმდეგოა და რომლის საფუძველზეც სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს სანქცია, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი ხასიათის (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6). შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია ვრცელდება ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობის დაწესებაზეც, რაც გულისხმობს, რომ ნებისმიერი ტიპის სამართალდარღვევა, ამა თუ იმ ქმედების აკრძალვა და მისთვის პასუხისმგებლობის დაწესება უნდა განხორციელდეს კანონით.

15. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩათვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამართლის ნორმის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და დარგის სპეციალისტების დახმარებით. ამასთან, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების განმარტების, სამართლის შეფარდების პროცესში განსაკუთრებული როლი საერთო სასამართლოებს ეკისრებათ (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36). სწორედ საერთო სასამართლოები განეკუთვნებიან სახელმწიფო ხელისუფლების იმ შტოს, რომლის ექსკლუზიური კონსტიტუციური კომპეტენცია სამართლის ნორმის ფაქტობრივი გარემოებისადმი მისადაგება და სამართლის პრაქტიკაში აღსრულებაა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16). ამგვარად, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი - საერთო სასამართლოების ერთგვაროვანი პრაქტიკაა. თუ ნორმა სასამართლოს პრაქტიკაში ერთგვაროვნად განიმარტება და გამოიყენება, ბუნებრივია, ეს ნორმის შინაარსის განჭვრეტადობის უმთავრესი ინდიკატორია.

16. ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმისთვის, რათა ნათელი იყოს მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებას შორის, აუცილებელია, წარმოდგენილი იყოს შესაბამისი არგუმენტაცია გასაჩივრებული რეგულაციის განუჭვრეტელ ბუნებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ №1878 კონსტიტუციურ სარჩელში თავად მოსარჩელის მიერ განვითარებული მსჯელობიდან იკვეთება, რომ სადავო ნორმის გამოყენების/განმარტების შესახებ, საერთო სასამართლოების ერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობის თაობაზე მისთვის ცნობილია. კერძოდ, საერთო სასამართლოები განმარტავენ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება მოიაზრებს, მათ შორის, ისეთ შემთხვევებს, როდესაც მძღოლის მიერ ამავე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის გაუფრთხილებლობით ჩადენა გამოიწვევს მისი ჯანმრთელობისა და სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას. მოსარჩელის მიერ სადავო ნორმასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის მითითება, იმაზე მეტყველებს, რომ ნორმის შინაარსი მისთვის საკმარისად ცხადია, რაც საფუძველს აცლის მის მტკიცებას გასაჩივრებული რეგულაციის განუჭვრეტელ ბუნებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მოსარჩელე მხარის მსჯელობა, რომ სადავო ნორმის ადრესატს გაზრდილი პასუხისმგებლობა (ადმინისტრაციული ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 3 წლით შეჩერება) არ უნდა ეკისრებოდეს, თუკი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევას შედეგობრივად მოჰყვა მხოლოდ თვითდაზიანება (მხედველობაშია როგორც ჯანმრთელობის, ისე საკუთარი სატრანსპორტო საშუალების დაზიანება), მიემართება არა სადავო ნორმის ბუნდოვანების პრობლემას, არამედ მის მიერ რეგულირებული, აკრძალული ქმედების ფარგლებს, რაც არარელევანტურია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების კონტექსტში საკითხის შეფასებისას.

17. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №1878 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილშიც, რომელიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით დაუსაბუთებელია და არსებობს მისი არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.



**III**  
**სარეზოლუციო ნაწილი**

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 27<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის, 31<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31<sup>2</sup> მუხლის მე-8 პუნქტის, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 31<sup>5</sup> მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31<sup>6</sup> მუხლის მე-2 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის საფუძველზე,

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**  
**ა დ გ ე ნ ს:**

1. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1878 კონსტიტუციური სარჩელი („დავითი ლალიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).
2. განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.
3. განჩინება გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

**კოლეგიის შემადგენლობა:**

ვასილ როინიშვილი

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩილაძე

